გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 93

2023 წლის 9 ივნისი
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.45.32.026) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 21 აპრილის N5/22167 წერილის შესაბამისად დადგა საკითხი, ქალაქ გორში, კეცხოველის ქუჩაზე მდებარე გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.45.32.026) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, შემდგომში მისი სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

2023 წელს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „ტანისა და თეძმის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“, რომლითაც შეიქმნა ტანის აღკვეთილის დაცული ტერიტორია. აღკვეთილის შექმნასთან დაკავშირებით, ტერიტორიის მართვის, განვითარების და ადმინისტრაციის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის საჭიროა ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრის არსებობა. აღნიშნული ცენტრის განსათავსებლად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ გორში, კეცხოველის ქუჩაზე მდებარე გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ს.კ. 66.45.32.026) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს სახელმწიფოს, შემდგომში მისი სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 108-ე მუხლისა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულის სააგენტოს 2023 წლის 21 აპრილის N5/22167 წერილის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გადაეცეს, სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ გორში, კეცხოველის ქუჩაზე მდებარე 2449.00 კვ.მ. ფართი, საკადასტრო კოდი N 66.45.32.026.
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

GEORGIA GORI MUNICIPALITY COUNCIL * 218086087 *